

# 24 საათი

## გამოიყენებს თუ არა შევარდნაძე ამერიკელთა მიერ მიცემულ "ფორას"

კახა კვიციანი

კომინიოვის სამიტამდე რამდენიმე დღე დარჩა და პრეზიდენტი შევარდნაძე უკვე აკეთებს პროგნოზს, რომ სამიტმა ძალიან მნიშვნელოვანი, პოზიტიური როლი უნდა შეასრულოს რუსეთ-საქართველოს გამწვანებულ ურთიერთობებში.

რისი იმედი აქვს შევარდნაძეს? რა პოლიტიკური კაპიტალიტი მდის ის კომინიოვის და რამდენად შეძლებს საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას, რუსეთის პრეზიდენტთან პირისპირ დარჩენილი?

შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძის ერთადერთი კაპიტალიტი ამერიკის გაძლიერებული მხარდაჭერაა. მის პოზიციებს, როგორც უკიდურესად დასუსტებული ქვეყნის პრეზიდენტისა, სხვა ვერაფერი ამკვირებს.

თუმცა, პანკისში განვითარებული მოვლენების შემდეგ ქვეყნის შიგნით პოზიციები შევარდნაძემ საკმაოდ გაიმყარა. თუ ზაფხულში ხელი-სუფლებიდან ნდობა კატასტროფულ ზღვარს მიუახლოვდა და მთავარი პოლიტიკური მოთამაშეები უკვე ოპოზიციური პარტიები გახდნენ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აგრესიულ მუქარებს მიზანმიმართული და თანამიმდევრული ხასიათი მისცა, მთავარი მოთამაშის სტატუსი ისევ პრეზიდენტმა დაიბრუნა.

ბაზრძილაბა A8 ბავრძილა



სუსტი სახელმწიფო, აგრესიული მეზობელი, უკონტროლო ტერიტორიები - თავსატეხი ბევრია.

### საქართველოს ხელისუფლება რაიულ ალყაში

რა აკავშირებს ჭავჭავაძის პანკისთან?

გიორგი ხალაშვილი

ხმები ჯავახეთსა და პანკისში ვითარების გაუარესებაზე ბოლო დღეებში, შეიძლება, გამიზნულად ვრცელდება - მაგრამ რა მიზნით? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, ჯერჯერობით, ძალიან შირს.

პანკისი, ცხინვალი, კოდორი, ჯავახეთი - ბოლო დღეებში ამ ოთხ რეგიონს ერთმანეთს მიყოლებით ასახელებენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მორიგი გამწვანების კერად.

პანკისის თემა, რომელსაც ქართული მხარე ამონურულად მიიჩნევს, გუშინ კვლავ ძველებურად ფლერდა როგორც რუსეთის ხელისუფლების, ისე საინფორმაციო საშუალებების არხებით. ჩეჩენი და ისლამისტი მეტა-ძოღების უდიდესი ნაწილის კავკასიის ქედის ჩრდილოეთით გადაბარგების მიუხედავად, რუსები კვლავაც განაგრძობენ საუბარს პანკისიდან მომდინარე საფრთხეზე.

ბაზრძილაბა A8 ბავრძილა

### რუსეთისა და ამერიკის შიგნით სამხრეთ კავკასიაში ქვეყნებში თავის ერთგვიან ვიზიტს სომხეთის დედაქალაქში დასრულებს, სადაც გუშინ საღამოს თბილისიდან ჩავიდა. ვიზიტი 30 სექტემბერს აზერბაიჯანის მონახულებით დაიწყო, გუშინწინ და გუშინ კი საქართველოში გაგრძელდა. საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ "მიუხედავად კავკასიის რეგიონში გამოგზავნილი, პარიზი მხარს უჭერს სამივე სახელმწიფოს ლიდერთა ძალისხმევას, კავკასიის კეთილი მომავლის უზრუნველსაყოფად".

ზაზა ნაღაძე

ბაზრძილაბა A3 ბავრძილა

### აქარისა და აზნაურის მხარის წარმომადგენლებს საპარტიო ხელშეწყობა აღმოაჩნდათ

A3

### მთავარი სიხარული რუსი პარლამენტარებისთვის - პანკისში ბავრძილაბის გამოყენება ცხინვალის რეგიონში

A3

### ამ ბავრძილაბის მხარეში ცხინვალის რეგიონში?

A3

### "ვიკინი" ნაწილ-ნაწილ იყრია

A4

### რუსეთმა, პანკისში ანტირაიონული რეჟიმის დამყარების მხარე დააქირაოს

A5

### ტაროშვილი უნაწილი სომხეთის პარლამენტორების კანდიდატი გახდება

A5

### ტყუპი ბიჭი და პანკისში კრიმინალი

A6

### გვილანი რომ ნაბავრძი არ აღმოაჩნდნენ

A6

### ყაყაყაშვილის ჰუმანური იდეა ხალხს მოთხოვნის საშუალებად იქცა

A7

### გიორგი ბავრძილის ერთი-ერთი გავლელი დიპლომატი

A7

Table with weather forecasts for various regions: თბილისი (20), ქუთაისი (22), ბათუმი (19), სოხუმი (20), ფოთი (20), თელავი (19), ზუგდიდი (22), გორი (16).

Table with subscription rates: უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი, ლართან მიმართებაში. Rates: აშშ დოლარი 2.1600, ევრო 2.1356, გირვანქა სტერლინგი 3.3921, რუბლი 0.0681.

### ნიმე ბურჯანაძე: "საქართველო ერთი-ს ფარგლებში არ გრძობს თავს უსაფრთხოდ!"

თამარ ხორბალაძე

გუშინ, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, საქართველოს დელეგაციამ მკაცრად დააყენა საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფაში ეუთო-ს უმოქმედობის საკითხი. საქართველოს მხრიდან კომიტეტის სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ვიცე-სამიკერი ვახტანგ ყოლბაია.

გვიან ღამით "24 საათი" დაუკავშირდა პარლამენტის თავმჯდომარეს

და სხდომის შედეგებისა და ეუთო-ში გამართული შეხვედრების შესახებ კომენტარი სთხოვა:

- საქართველოს დელეგაციამ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე გაა-

ბაზრძილაბა A3 ბავრძილა

### "ნატო-ს კიდობანი" მსოფლიოს გადასარჩენად ალიანსის გენერალური მდივანი მომავლის უსაფრთხოების გეგმას აყალიბებს

გიორგი ხალაშვილი

გუშინ ბრიუსელის კონფერენციაზე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა მომავალი მსოფლიოს პირველ სურათი დახატა და ნატო-ს ქვეყნებს არსებული საერთაშორისო წესრიგის გადარჩენისკენ მოუწოდა.

ბრიუსელის კონფერენცია ნატო-ს მომავლის თაობაზე, შეიძლება ითქვას, გენერალური რეპეტიცია იყო ნატო-ს ნიშნის სამიტის წინ, რომელიც პრა-

ლაში გაიმართება. ალიანსის გენერალური მდივანი ლორდი რობერტსონი კონფერენციაზე უპრეცედენტოდ მძაფრი სიტყვით გამოვიდა და მომავალ საფრთხეებზე და მათი თავიდან არიდების გზებზე გაამახვილა ყურადღება.

ჯორჯ რობერტსონმა თავისი პესი-მისტური პროგნოზი ხუთ პუნქტად დააკო. საინტერესოა, რომ მომავლის პრობლემებს შორის, უპირველეს ყოვლისა, მან კავკასია ასახა: "ჩემი პირველი პროგნოზი: უახლოეს წლებში მეტი არასტაბილურობა გველის. კავკასია,

ცენტრალური აზია, ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი არასტაბილურობის მძლავრ დინებას ქმნის. ყველა ეს რეგიონი ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესებს განიცდის. . . ყველაზე ბრმა ოპტიმისტი თუ დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ ცვლილებების ეს პროცესი დიდი კრუნჩხვების გარეშე ჩაივლის".

ბაზრძილაბა A5 ბავრძილა

### "მიტინგები რას გვიპვლის"



მასწავლებელი.

A6

### თავდაცვის ბიუჯეტი 50 მილიონ ლარამდე გაიზარდება

სოფო კინცრაძე

ჯერ არ ჩამცხრალა ხმაური ცხრა თვის ბიუჯეტის 83 მილიონ ლარის ოდენობით გარდაცვალებაზე, საფინანსო წრეებში უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ სექტორის გარდაუვალობაზე, ამ მოვლენების ფონზე კი პარლამენტი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვას შეუდგა. გუშინ პარლამენტის საფი-

ნანსო-სამიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე პროექტი ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა წარმოადგინა.

2003 წლის ბიუჯეტის პარამეტრები ასეთია - შემოსავლები 1 149 096 000 ლარი, ხარჯები - 1 385 596 000 ლარი, დეფიციტი - 236 500 000 ლარი, 2002 წლის ბიუჯეტთან შედარებით - მაგება 158 000 000 ლარი.

ბაზრძილაბა A4 ბავრძილა

### "ეი-ი-ეს მტკვარი" „სივანის“ ექსპერტებს მათა ენერგობლოკამდე არ უშვებს

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში შიშობენ, რომ პრობლემის მოუგვარებლობა საქართველო-გერმანიის ურთიერთობებს გაართულებს

გიორგი კალანდიაძე

კომპანია "ეი-ი-ეს მტკვარი" უარმა, დაუშვას "სივანის" ექსპერტები შარშან აფეთქებული მათე ენერგობლოკის ტერიტორიაზე ავარიის მიზეზების დასადგენად, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს გერმანიის მიერ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში დაგეგმილი პროგრამების განხორციელება. ასეთ დასკვნას აკეთებენ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (KfW), რომელიც, თავის დროზე, "თბილსრესში" შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მი-

რითადი დონორია, უკვე გამოყო თანხა დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისიისთვის მათე ბლოკზე მომხდარი ავარიის მიზეზთა შესწავლის სამუშაოების დასაფინანსებლად. დღეისათვის არსებობს ორი დასკვნა - პირველი "ეი-ი-ეს მტკვარს" დაკვეთით მოამზადეს ბრიტანელმა ექსპერტებმა, მეორე კი საქართველოს უშიშროებისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროების მიერ მოწვეულ ქართველ სპეციალისტებს ეკუთვნის. ორივე დასკვნაში აღნიშნულია "სივანის" მიერ ენერგობლოკზე დამონტაჟებულ, მართვის ელექტრონულ სისტემათა გაუმართაობის შესახებ.

ბაზრძილაბა A4 ბავრძილა

### აზნაურთი - ენერგოკრიზისის ერთ-ერთი გამოხვევა მიუხედავად

საბითუმო ბაზარს ელექტროენერჯის მწარმოებლებისა 100 მილიონი ლარი მართებს

სოფოკო ოხანაშვილი

საქართველოს ენერგოსისტემა მოახლოებულ ზამთარს, ტრადიციულად, მოუშვადებელი ხვდება. ქართველმა და მოწვეულმა უცხოელმა ენერგეტიკოსებმა ამ "სიბლის" შესახებ გუშინ პარლამენტის დარბაზში ეკონომიკის სხდომაზე განაცხადეს. "ფინანსების უკონტროლო

გამო, შეჩერებულია ზამთრისთვის მოსამზადებელი სამუშაოები", - აღნიშნა ელექტროგადამცემის გენერალური დირექტორის მოადგილემ. ფინანსების სმცირეს უჩივიან სხვა ენერგოკომპანიებიც, რომელთა გაუმართავი მუშაობის გამოც საქართველომ ვერ შეძლო ენერგოკრიზისისგან თავის დაღწევა.

ბაზრძილაბა A4 ბავრძილა

**ბრიუსელი.** საქართველოს ხელი-სუფლება იმედოვნებს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული, რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზების აღდგენაში ნატო დაეხმარება. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ირაკლი მენა-ლარიშვილმა ნატო-ს შტაბ-ბინაში განიხილა პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში შეთანხმების მოზაადების იურიდიული ასპექტები. იქვე აღნიშნეს, რომ მენაღარიშვილის შეხვედრა ნატო-ს შტაბ-ბინაში "არაფორმალურ ვითარებაში" წარიმართა. შეხვედრაზე ევროკავშირმა გააფრთხილა ქართული მხარი, რომ ევროპის დახმარება საქართველოსადმი დამოკიდებული იქნება ამ ქვეყანაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სიტუაციაზე. **კავკას-პრესი.**

**თბილისი.** ახლახან ბრიუსელში ჩატარდა ევროპული კავშირის აზერბაიჯანთან, საქართველოსა და სომხეთთან თანამშრომლობის საბჭოს სხდომა. დანიის ევროპულ საქმეთა მინისტრმა ბერტელ პარდერმა, რომელიც ამ სხდომების თავმჯდომარეობდა, პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ევროპულ კავშირის სურს, უფრო აქტიური როლი შეასრულოს სამხრეთ კავკასიაში. ამ კონტექსტში მინისტრმა განაცხადა, რომ "სომხეთისა და აზერბაიჯანში პრეზიდენტის არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის, ევროკავშირი ორივე ქვეყანას მოუწოდებს დარწმუნდნენ იმაში, რომ არჩევნების პროცედურები შეეხამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს". **მედია-ნიუსი.**

**ყაზანი.** სრულიად თათრეთის საზოგადოებრივი ცენტრი მხარს უჭერს საქართველოს ხელმძღვანელობის განხილვისათვის პოლიტიკას, რომელმაც არ დაუშვა თავის მიზანზე სისხლისღვრა, - ნათქვამია ცენტრის პრეზიდენტის განცხადებაში, რომელიც პანკისის ხეობის ირგვლივ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ეხება. დოკუმენტში იმედს გამოთქვამენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მრავალი პრობლემის მოგვარება შესაძლებელი გახდება იქიდან "საკუთბაციო ჯარების გაყვანის" შემდეგ. საქართველოსა და ჩეჩნეთთან მიმართებაში რუსეთის მოქმედებები შეფასებულია, როგორც მისი მხრიდან მსოფლიოში დამცირებული მდგომარეობის გამო საზავიეროს გადახდა და დაკარგული პოზიციების აღდგენის მცდელობა. **კავკას-პრესი.**

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გენერალური ინსპექციის რეორგანიზაცია იგეგმება. ამ მიზნით, სპეციალური რეკომენდაციები ამერიკის ხაზინის მრჩეველმა საგადასახადო ადმინისტრირების დარგში, დუგლას სკოტმა შეიმუშავა. სკოტმა თავდაცვის მინისტრს რეორგანიზაციის სამი ვარიანტი წარუდგინა. დავით თევზაძე უპირატესობას იმ პროექტს ანიჭებს, რომელიც ამერიკულ მოდელს შეესაბამება და რომელიც გენერალური ინსპექციაში საგამოიბეგო, ინსპექტირების, აუდიტისა და ანალიზის სამმართველოების შექმნას ითვალისწინებს. აღნიშნული რეფორმა თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ანტიკორუფციული ღონისძიებების ნაწილია, რომელიც მინისტრის აზრით, გენერალური ინსპექციიდან უნდა დაიწყო. გენერალური ინსპექციის რეფორმირების შესახებ კანონპროექტი ახალი წლიდან ამოქმედდება. **ინტერ-პრესი**

**ფსკოვი.** "ჩერნიგოვის საპაერო-სადენსატო დივიზიის 76-ე გვარდია მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაშია", - განაცხადა გვარდიის სარდალმა, გენერალ-მაიორმა სტანისლავ სემენიუტამ კითხვაზე: "მზად არის თუ არა დივიზია, მონაწილეობა მიიღოს საქართველოში სამხედრო მოქმედებებში, თუ ამის საჭიროება იქნება". როგორც მან აღნიშნა, რუსეთის შეიარაღებული ძალები სწორედ იმისთვის არსებობენ, რომ დავიდან რუსეთის სუვერენიტეტი და მთლიანობა. სემენიუტას განცხადებით, შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებებში ჩართვას აპირებს გენშტაბი და ხელმძღვანელობს პრეზიდენტის განკარგულებით. **კავკას-პრესი.**

**რუსთავი.** დღეიდან "არქმშინისპექციის" ქვემო ქართლის რეგიონული სამსახური უკანონო მშენებლობის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას. პირველი ობიექტის დაწვრთვაში მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე, იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო ბიუროს სპეციალური ჯგუფი. უკანონო ავტოფარეგების მეპატრონეებს გასაჩივრებისა თუ სხვა ღონისძიებებისთვის 5 დღის ვადა მიუცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტები იძულებით დაინგრევა. თითო ფარების დაწვრთვა 300-დან 500 ლარამდე ჯდება. ამიტომ საჭირო თანხებს თავად იუსტიციის სამინისტრო გამოყოფს. ავტოფარეგების ნგრევა დღეიდან მასობრივ ხასიათს მიიღებს. **მედია-ნიუსი.**

**მოსკოვი.** რუსეთის სახელმწიფო სათაბიროს დეპუტატი გენადი გუდკოვი აპირებს, პრეზიდენტ პუტინს წარუდგინოს პარლამენტის ინიციატივა, რომ პასუხისმგებამი მიეცეს და სათაბიროს წინაშე ახსნა-განმარტებები გააკეთოს გენშტაბის ხელმძღვანელობამ იმ გადანყვეტილების გამო, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის შემცირებას. 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა გენშტაბის უფროსის ანატოლი კვამინის ინიციატივა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხოვნობის რადიკალურად შემცირების შესახებ. ამჟამად საქართველოში განლაგებული რუსეთის ბაზებზე იმყოფება დაახლოებით 7 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 1,5 ათასი სამოქალაქო პირი, რომლებიც ძირითადად საქართველოს მოქალაქეები არიან. კვამინის ბრძანებით კი, თბილისში, ბათუმსა და ახალქალაქში სამხედროებისა და სამოქალაქო პერსონალის რაოდენობა 1 იანვარისათვის 6-7-ჯერ შემცირდება. "გამოდის, რომ გენშტაბი თვითნებურად ახორციელებს ჯარების გაყვანას. ეს კი რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკას ეწინააღმდეგება." - ირწმუნება დეპუტატი, **კავკას-პრესი.**

**ცხინვალი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შედეგული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა შეხვედრა დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. სამხრეთ ოსეთის მხარის შემფოთებას ოფიციალური თბილისის კონფლიქტის ზონაში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარება იწვევს. სამხრეთ ოსეთიდან კომისიის თანათავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება დააფიქსირა ასეთი ოპერაციისადმი, რადგანაც მისმა დაწყებამ, შესაძლოა, შეიარაღებული კონფლიქტის განახლება გამოიწვიოს. **პრაიმ-ნიუსი.**

**თბილისი.** სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების მსურველმა 600-მა პირმა უკვე 120 000 ლარი გადაიხადა. იელისის ბოლოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების მსურველებს შეუძლიათ გადაიხადონ 200 ლარი და სამხედრო სამსახურში განწვევისგან დროებით გათავისუფლდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო სამსახურისგან თავის დასახსნელად საჭიროა 2000 ლარის გადახდა. მთლიანად სავალდებულო განწვევის გეგმა 60 პროცენტით შესუსტდა, ამ დროისთვის ჯარში განწვეულია 7500 პირი. **კავკას-პრესი.**

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს გიორგი ისაკაძეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის ხელმძღვანელმა ჩენგ განგმა მიმართა. იგი პანკისის ხეობაში ჩინური ინვესტიციებით მშენებარე ხაღორპესზე არსებული პრობლემების გადაჭრაში დახმარებას სთხოვს. 24-მეგავატიანი შვესის მშენებლობაში ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ენერგოკომპანია 23-მილიონიანი დოლარის ინვესტიცია ჩადო. ინვესტორი. ინვესტიციის შეღავათიანი წესით დაბეგრას ითხოვს. ისაკაძემ სტუმრებს დახმარება აღუთქვა და იმედი გამოთქვა, რომ ხაღორპესი ბოლომდე ამუშდება და იგი მთელ კახეთს მოამარავებს ელექტროენერგიით. **მედია-ნიუსი.**

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ვაფარიძე სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძეს, შტაბის უფროსს კორნელი სალიას და დეპარტამენტის სხვადასხვა სამმართველოს ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრისას სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობამ უშთაურეს პრობლემად დაფიანსების საკითხი დაასახელა. 1998 წლიდან დაფინანსების გაზრდის ნაცვლად, დეპარტამენტს თანხები ყოველწლიურად შემცირდება. ოფიციალური მონაცემებით, 1997 წლიდან 2001 წლის ჩათვლით, სასაზღვრო უწყებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 22 მილიონი ლარი დააკლდა. რაც, როგორც სასაზღვრო პერიმეტრების კონტროლზე, ისე სასაზღვრო ძალებში წვევამდელთა განწვევის მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს 2002 წლის ბიუჯეტი 9 მილიონი ლარით განესაზღვრა, თუმცა, როგორც გენერალი ვალერი ჩხეიძე აცხადებს, სასაზღვრო ძალების სრულფასოვანი მუშაობისათვის მის უწყებას ყოველწლიურად მინიმუმ 25-27 მილიონი ლარი სჭირდება. **ინტერ-პრესი.**

**გალი.** ჭუბურჩინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე გასული კვირის მოვლენები განიხილეს. კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება დადებითად შეფასდა. შეხვედრა, რომელსაც ოთხივე მხარე ესწრებოდა, დაახლოებით, 15 წუთს გაგრძელდა, რადგან პრეტენზიები არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს. ჭუბურჩინჯში გამართული შეხვედრის თემა საკოორდინაციო საბჭოს სხდომა იყო, რომელიც 7 ოქტომბერს გაერო-ს ეგვიპტე თბილისში გაიმართება. ერთკვირიან სიმშვიდეს ქართული მხარე იმით ხსნის, რომ სოხუმის დაცემის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, სამშვიდობო ძალებმა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღეს. **მედია-ნიუსი.**

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაციები გააგრძელებენ ერთობლივ მუშაობას იმ კანონპროექტზე, რომელმაც ჰუმანიტარული დახმარებისა და გრანტების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა უნდა უზრუნველყოს. ამ შეთანხმებამდე სამინისტრო და არასამთავრობოები მინისტრის მოადგილესთან ლაშა ყვანიასთან გამართულ შეხვედრაზე მივიდნენ. ყვანიამ არასამთავრობოებს მხარდაჭერა სთხოვა, რათა "მონესრიგდეს ამ სფეროში არსებული ქაოსი, რისი ერთადერთი გარანტი აღრიცხვიანობის მონესრიგება და სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგია". ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის თქმით, პრობლემის მოგვარება მათ ინტერესებშიც შედის და ამ ეტაპზე ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმება მიღებულია მხოლოდ იმაში, რომ მინისტრის ბრძანება პოლიტიკური მიზნებისთვის არ იქნეს გამოყენებული. ამასთან, მისივე თქმით, დაკონკრეტდება დოკუმენტის ზოგიერთი მუხლის ფორმულირება. **მედია-ნიუსი.**

**ერევანი.** სტრასბურგში რეგისტრაცია გაიარა ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ "სამხრეთ კავკასია". მისი წარმომადგენლობები იქნება თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში. როგორც ერევნის პრეს-კლუბის პრეზიდენტმა ბორის ნავასარიანმა განაცხადა, ასოციაციის რეგისტრაციას ხელი შეუწყვეს უფთოს საქართველოს და სომხეთის ოფისებმა, ასევე ევროპის საბჭოს პრესსამსახურმა. ასოციაციის წარმომადგენლობები მოქმედებენ ასევე ერევანში, ბაქოსა და სტეფანაკერტში. 2002 წლის ნოემბერში გაიმართება ასოციაციის საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც შემუშავდება ჟურნალისტთა ამ გაერთიანების მოქმედების სტრატეგია. **პრაიმ-ნიუსი.**

## დეკლარაცია მსჯელობა მოუწევთ საკუთარი იდენიტატის შეზღუდვაზე

თამარ ხორბალაძე

*მთავრობაში უკვე მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც საქართველოში მოქმედი იმუნიტეტების სისტემის შეზღუდვას ითვალისწინებს. კანონპროექტი უშუალოდ ეხება პარლამენტარებსაც, რომელთაც იმუნიტეტი არ გაუქმდებათ, მაგრამ გარკვეული შეზღუდვა აქვთ არის დადგევილი. გაცილებით უფრო სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი თავად მთავრობის წევრებთან მიმართებაში.*

*ეს პროექტი მომზადებულია ჯერ კიდევ აპრილში, პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული ანტიკორუფციული პროგრამის შესაბამისად, თუმცა, დღეს მისი დადგენა სამთავრობო მაგიდაზე, თავისთავად, პოლიტიკურ დატვირთვასაც იქნეს.*

*ეს პოლიტიკური ფონი უდავოდ ანგარიშგასწევია და საფიქრებელია, რომ გავლენიანი კასტის ინტერესი კანონპროექტს უსათუოდ გადაელოება.*

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში იმუნიტეტით სარგებლობენ პარლამენტის წევრები, მთავრობის წევრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და პრეზიდენტის წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, საკონსტი-

ტუციო სასამართლოს წევრები, მოსამართლეები, პროკურორები, წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატები, ომბუდსმენი. დიპლომატიური კორპუსის იმუნიტეტი კი გათვალისწინებულია ვენის კონვენციით.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, იმუნიტეტი გავრცელდება პარლამენტის წევრებზე, პრეზიდენტზე და მინისტრებზე, უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებზე, გენერალურ პროკურორზე, ომბუდსმენზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე და კონტროლის პალატის თავმჯდომარეზე. ანუ, მიერე და უფრო ქვედა რგოლის თანამდებობის პირები იმუნიტეტს ისევე დაკარგავენ, როგორც მოსამართლეა უმრავლესობა. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ კანონპროექტის ავტორთა აზრით, "იმუნიტეტის გავრცელება მიზანშეწონილია მხოლოდ დაკავებისათან დაკავშირებით, ხოლო ჩხრეკა და პასუხისმგებში მიცემა დასაშვებია უნდა იყოს თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით..."

დასკვნაში, რომელიც ამ კანონში, მთავრობის წევრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და პრეზიდენტის წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, საკონსტი-

**პარლამენტარის "იმუნიტეტის მოხსნის" საკითხი. დღესათვის არ არსებობს არანაირი ნორმა, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება, არ გაიცეს თანხმობა იმუნიტეტის მოხსნაზე; რა შემთხვევაშია სავალდებულო მსგავსი თანხმობის გაცემა და როგორ უნდა წარიმართოს შესაბამისი პროცედურები იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა არ იქნა გაცემული. დაუშვებელია რომელიმე ორგანოს, სასამართლოს გარდა, მიენიჭოს უფლებამოსილება - განსაზღვროს, თუ რამდენად საკმარისია საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებები. დღეს კი, ფაქტობრივად, პარლამენტის მიერ ხდება აღნიშნული მტკიცებულებების შეფასება და, როგორც წესი, ისინი არასაკმარისად მიიჩნევა."**

პარლამენტართა უმრავლესობა იმუნიტეტის შეზღუდვის წინააღმდეგ პროტესტს ხმამაღლა არ გამოხატავს, მაგრამ თუ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტში ზემოთ ნახსენები პოსტულატი ჩაიდა, იგი უდავოდ იქცევა

სერიოზული განსჯის საფუძველად. ასეთი გახლავთ წინასწარი ინფორმაცია. დეტალურად შეხახებ პროექტის განმარტების სახით ანტიკორუფციულ საბჭოში გახლავთ მომზადებული, აღნიშნულია, რომ: "ცალკე უნდა განვიხილოთ

ისევე და ისევე პარლამენტის საქმეა. მანამდე, უახლოეს მთავრობის სხდომაზე, იუსტიციის სამინისტრო ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში მომზადებულ კიდევ რამდენიმე კანონპროექტს წარადგენს.

ერთ-ერთი მთავარი სიახლე ის გახლავთ, რომ იუსტიციის სამინისტრო მთავრობას მაკონტროლებელთა რიცხვის შემცირებას შესთავაზებს. ჯერჯერობით, საბოლოოდ დადგენილი არ არის "მაკონტროლებლის" სტატუსით აღჭურვილი იმ უწყებების ზუსტი რიცხვი, რომელიც ამ ცვლილებების შემდეგ დარჩება. წინასწარი ინფორმაციის მიხედვით, ნავარაუდევია სულ ზუთი ასეთი უწყების დატოვება.

მიმდევლოვანია ასევე ისიც, რომ პარლამენტში ერთი მოსმენით უკვე დამტკიცებული ლიცენზირების შესახებ კანონის ნაცვლად, მთავრობას ითხმებათის შესთავაზებენ ლიცენზირების ახალ კანონპროექტს, რომელიც, სავარაუდოდ, პარლამენტში ოქტომბერშივე შევა.

მომზადებულია გენერალური ინსპექციების შესახებ კანონპროექტიც, რომელიც ე.წ. ამერიკულ ვარიანტს (ამ ინსპექციების სტრუქტურების მიღმა გამოტანას) არ ითვალისწინებს. რაც, სავარაუდოდ, სერიოზული ვენებათაღიღვლის საფუძველად შეიძლება იქცეს.



საბელაფონომ კავშირი

მ-07

# რუსეთისა და ამერიკის შიშვანდ სამხრეთ კავკასიაში საფრანგეთის აქტიურობა

პირველი გვერდიდან

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში საფრანგეთის - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარის, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრისა და ევროკავშირის ერთ-ერთი გადამწყვეტი სახელმწიფოს - მხარდაჭერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომ აზერბაიჯანში, საქართველოში და სომხეთში რეწო მიუხედავად უმაღლეს დონეზე უმასპინძლებს.

გუშინ და გუშინდელ სახელმწიფო კანცელარიაში, პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრების დროს, რენო მიუხედივდნენ კიდევ ერთხელ დაავიწყდა პარიზის მხარდაჭერა გაერო-ს გენერალური მდივნის ყოფილი სპეცნარმომადგენლის - დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული დოკუმენტის პრინციპებისადმი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით ითვალისწინებს. "საფრანგეთი ყველაფერსაკეთებს, რომ ბოდენის დოკუმენტის პრინციპები ორივე მხარის მიერ გაზიარებული იყოს", - განაცხადა მიუხედივდნენ გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოსვლისას. სახელმწიფო მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიკომინალური ოპერაციის წარმატებულობას.

"ეს ოპერაცია მიუთითებს, რომ საქართველო ანტიტერორისტული კოალიციის სრულდასრულებას უწყობს, ვისარგებლო შემთხვევით და, საფრანგეთის ხელისუფლების სახელით, მადლობა ვუთხრა საქართველოს, რომელმაც ავღანეთში მიმდინარე კონტრტერორისტული ოპერაციის დროს ჩვენს სამხედრო თვითმფრინავებს საქართველოს საჰაერო სივრცის გადაკვეთის უფლება მისცა", - აღნიშნა მიუხედივდნენ. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებში არსებულ კრიზისზე საუბრისას, მიუ-



რუსეთის საგარეო დარჩენების და გავლენის მოხდენის რუსეთზე.

ხელით არ გამოიცილა, რომ "თუ საქართველო, საფრანგეთი დაარჩენების და გავლენის მოხდენის რუსეთზე, რათა სადავო საკითხები ურთიერთშინაობის გზით მოგვარდეს".

აზერბაიჯანში ვიზიტისას რენო მიუხედივდნენ ხმაძალა განაცხადა, რომ "საფრანგეთს ძალიან აღუფრთხილებია მთიანი ყარაბაღის ოკუპირებული მიწების პრობლემა". სახელმწიფო მინისტრი აზერბაიჯანის პრეზიდენტს დაპირდა, რომ "საფრანგეთი გააქტიურდება ძალისხმევას ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის". აზერბაიჯანელი

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი ცდილობს, ცნობილი "პარიზული პრინციპები", რომელიც სომხეთისა და აზერბაიჯანს შორის სადავო ტერიტორიების გაცვლას ითვალისწინებდა, ენ "სადარაკის პრინციპებით" ჩანაცვლოს, რომელიც 14 აგვისტოს სოფელ სადარაკში, ჰეიდარ ალიევისა და რობერტ კოჩარაიანის ბოლო შეხვედრაზე გაიცხადდა.

ბაქოში, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრთან - არტურ რასიზადესთან შეხვედრის დროს, მიუხედივდნენ კმაყოფილება გამოთქვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებით. "ამ პროექტში ფრანგული

კომპანიები წარმატებით მონაწილეობენ", - აღნიშნა დიპლომატმა. მიუხედივდნენ ვიზიტისას, აზერბაიჯანში აფრანგულ კომპანია "European Aeronautic Defence and Space Co"-თან 52 მილიონი ევროს ღირებულების კონტრაქტი გაფორმა, Dauphin EC-155 B1 ტიპის ოთხი და Super Puma AS-332 ტიპის ორი სუპერთანამედროვე ვერტმფრენის მიღების თაობაზე.

აფხაზეთი საქართველოა, ყარაბაღი კი - აზერბაიჯანი, - ამ პრინციპით აქტიურდება საფრანგეთის ახალი პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში. ამ ფონზე, სომხეთის რეაქცია გუშინ საღამოს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

# აქარისა და აფხაზური მხარის წარმომადგენლებს სართო ხედვა აღმოაჩნდა

გიორგი ასანიძე

"ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ამბრაზურად არ უნდა უყურდნენ. ამ ორ ხალხს შორის ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოენდობოდეს ურთიერთობა. არსებობს არასწორი მოსაზრება, თითქოს, ამ ურთიერთობებს ჩვენს მაგივრად მოაგვარებენ გარეშე ძალები. სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი რესურსებისა და ძალისხმევის იმედი შეიძლება გვექონდეს", - აცხადებს აფხაზური მხარის წარმომადგენელი აბესალომ ლეჟასია, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემატიკაზე დაკავშირებულ წიგნზე მუშაობის პაატა ზაქარაიძისთან ერთად.

აბესალომ ლეჟასიამ მონაწილეობა მიიღო გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრაში, რომელშიც პოლიტიკოსები და არასახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მისი თქმით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მინსკის ვერსიაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს მხარეთა შორის ურთიერთობების სტრატეგიის არარსებობა. ლეჟასია მიიჩნევს, რომ ასეთი სტრატეგია არაფორმალური დიპლომატიის სფეროში, ასე თუ ისე, მაინც არსებობს, მაგრამ სახელისუფლებო დონეებზე, ამ თვალსაზრისით, სრული ჩავარდნა.

"პოლიტიკოსები, ძირითადად,

სტატუსის საკითხზე მუშაობენ, მაგრამ, პირველ რიგში, საქირა პრავა მათთვის, რაციონალური ურთიერთობების დამყარება უფრო დაბალ საფეხურზე - ეკონომიკაში, კულტურის სფეროში და ა.შ.", - აცხადებს აფხაზური მხარის წარმომადგენელი.

მისი შეხედულებები თითქმის მთლიანად ემთხვევა გუშინდელი შეხვედრის მასპინძლების (აჭარის წარმომადგენლები) მოსაზრებებს. საპარლამენტო ფრაქცია "ალორძინების" წევრი ჰამლეტ ჭიპაშვილიც მიიჩნევს, რომ აფხაზეთის სტატუსის გარკვევამდე უნდა მოგვარდეს ისეთი საკითხები, როგორცაა სოხუმის პორტისა და აეროპორტის ამუშავება, რკინიგზის გახსნა, აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნა და სხვა. იგი "სიცრუეს" უწოდებს ვაჟა ლორთქიფანიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ რკინიგზის ამუშავება რუსი სპეციალისტების ჩამოყვანის გზით იგეგმება; თუმცა, არც იმას ამბობს, რკინიგზის "რესტრუქცია" სხვაგვარად როგორ შეიძლება მიხდეს - როგორც ცნობილია, აფხაზეტს ამ დარგის სპეციალისტები საერთოდ არ ჰყავთ.

"რკინიგზა აფხაზეთში ისედაც მუშაობს, ოღონდ - გლის რაიონის გამოკლებით", - აღნიშნავს პარლამენტარი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ქართველების ინტერესებში უფრო შედის, ვიდრე აფხაზების.

რაც შეეხება ეკონომიკურ სანქციებს, ჭიპაშვილის თქმით, იგი, ფაქტობ-

რივად, უკვე მოხსნილია - აფხაზეტს მჭიდრო კონტაქტები აქვთ რუსეთთან და თურქეთთან. ამდენად, არსებული რეალბის ოფიციალურად აღიარება და დაკანონება საქართველოსთვის მომგებიანიც კი არის, განსაკუთრებით, ჰუმანური თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას იზიარებს კონფლიქტისათვის და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილიც, რომლის აზრით, "აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის დაწესება თავიდანვე არასწორი იყო".

აჭარის წარმომადგენლობაში, ბუნებრივად, ხელიდან არ გაუშვებდნენ შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ გაეკრიტიკებინათ აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი თამაზ ნადარეიშვილი. "ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთის დაპყრობის პოლიტიკა, რასაც ნადარეიშვილი უჭარბ მხარს, მიუღებოდა. მას უნდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ლაბრით მიაჩვენოთ აფხაზეთი. ასეც რომ მოხდეს, მას მაინც ვერ შეეინარჩუნებთ - ჩვენს წინააღმდეგ მთელი ჩრდილო კავკასია ფეხზე დადგება", - აცხადებს ჭიპაშვილი.

"მილოშვილი თავის ავტონომიაში - კოსოვოში - ტანკებით შევიდა და დღეს ამისთვის ციხეში ზის. აფხაზეთში ძალით შესვლა ბოროტება და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი იქნება", - შენიშნავს პოლიტოლოგი რამაზ კლიმაშვილი, რომელიც იმის მიმხრეა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში, აჭარის მსგავსად, აფხაზეთის ავტონომიაც დეფიციტურად, ოღონდ - არა ზოგადრეალბის ოფიციალურად აღიარება და დაკანონება საქართველოსთვის მომგებიანიც კი არის, განსაკუთრებით, ჰუმანური თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას იზიარებს კონფლიქტისათვის და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილიც, რომლის აზრით, "აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის დაწესება თავიდანვე არასწორი იყო".

ველოს კონსტიტუციაში, აჭარის მსგავსად, აფხაზეთის ავტონომიაც დეფიციტურად, ოღონდ - არა ზოგადრეალბის ოფიციალურად აღიარება და დაკანონება საქართველოსთვის მომგებიანიც კი არის, განსაკუთრებით, ჰუმანური თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას იზიარებს კონფლიქტისათვის და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილიც, რომლის აზრით, "აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის დაწესება თავიდანვე არასწორი იყო".

გუშინდელი შეხვედრის მონაწილენი ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ ქართველ-აფხაზური კონფლიქტის დაერთვალბის პროცესი გაყინული (თუმცა, პარალელურად იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ამ გზაზე "სლან აბაშიძემ სერიოზული ნაბიჯები გადადგა"), რადგან დიტერ ბოდენის გეგმა არც თბილისს მოსწონს და არც - სოხუმს. რაც შეეხება კონფლიქტის დაწყებას, ჰამლეტ ჭიპაშვილის განცხადებით, მასში დიდ წვლილი ცენტრალურ ხელისუფლებას მიუძღვის და ამიტომ დღეურდ მეგობრდამდე ბოდიშ უნდა მოუხადოს როგორც აფხაზს, ისე ქართველ ხალხს.

საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გარდა, აჭარის წარმომადგენლობაში გამართული შეხვედრის მონაწილეთა კრიტიკის ობიექტები, აგრეთვე, გახდნენ ვაჟა ლორთქიფანიძე და თემურ მაშიაშვილი, რომლებმაც ბოლო დღეებში, აფხაზეთის კონფლიქტის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით, საქართველოში განცხადებები გააკეთეს.

# ნიმო ბარჯანაძე: "საქართველო ეუთო-ს ფარგლებში არ გრძნობს თავს უსაფრთხოდ"

პირველი გვერდიდან

მახვილა ყურადღება. პირადად მე ძალზე სერიოზულად დავსვი საკითხი, რომ ეუთო-მ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხს. მართალია, ეს არ არის სამხედრო ორგანიზაცია, მაგრამ წევრი ქვეყნების უსაფრთხოება მისი პრიორიტეტი უნდა იყოს. მე ხაზი გაუსვი იმას, რომ საქართველო ეუთო-ს ფარგლებში არ გრძნობს თავს უსაფრთხოდ. ჩვენ ველით ეუთო-სგან უფრო მეტორ რეაგირებას, როცა ჩვენი ტერიტორია იბომბება. ამიტომ მოვითხოვთ, რომ აღნიშნული თემა იქცეს ეუთო-ს განსაკუთრებული მსჯელობის საგნად. როგორც ეუთო-ს უმაღლესმა თანამდებობის პირებმა აღვითქვეს, ალბათ, ამ საკითხს კიდევ ერთხელ დავეუბრუნდებით დეკემბერში, ბიუროს სხდომაზე, და, საბოლოოდ, ვენაში, ზამთრის სესიაზე, პროგრესს მივაღწევთ.

რუსეთის დელეგაციას მკვეთრი რეაქცია ჰქონდა, თუმცა, დელეგაციის გარკვეული ნაწილი განწყობილია რუსეთ-საქართველოს დიალოგისადმი, რადგან ურთიერთობა, რომელიც დღეს არსებობს, აბსოლუტურად არანორმალური და მიუღებელია. კონსულტაციები ამ მიმართულებით ჩვენი გამოსვლის შემდეგ შედგა და, ალბათ, გაგრძელდება.

გეონდით თუ არა საუბარი საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანაზე? ამ დღეებში გაეროცვლდა ინფორმაცია, რომ აშშ-მ ეუთო-ს ამ მიზნით სახსრები გამოუყო.

- თავისთავად ცხადია. პირადად მე ცალკე შეხვედრა მქონდა ეუთო-ს გენერალურ მდივანთან ბატონ კუბიშთან, რომელმაც მოხსენება გააკეთა გუშინ და ამ მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქართველოდან ბაზების გასაყვანად სპეციალური ფონდი იქმნება. განვიხილეთ ბაზების გაყვანის, აფხაზეთის და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხები. მქონდა შეხვედრები ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტთან, ასევე, ვენერაბურ მდივან სპენსერ ოლივერთან.

- თუ არის საუბარი ეუთო-ს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების

## რეპორტი

### ფორსაჟორი ოზურგეთში

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთი

ოზურგეთის რაიონს სტიქიამ კიდევ ერთხელ შემოუტია. ორ სექტემბერს, დაახლოებით შუალაშისა, დაწყებულმა თავსმა წვიმამ, რომელიც მთელი ღამე გაგრძელდა, საგრძობად დაზიანდა რაიონის მოსახლეობას - უკვე მერამდღეის დიაბეზო-ა დრინდელი ღვარცოფებისაგან ისედაც თითქმის გაპარტახებული სიბინდის ყანები, ბალ-ბოსტნები, ჩამოხრეტილი ჯერ კიდევ უმნიშვნელო ხეხილი, მალღარი ვაზი. სტიქიის სიძველე განსაკუთრებით იჩინა თავი მდინა-

სადმი ახალ მიდგომებზე, ეუთო-ს გააქტიურებაზე ამ მიმართულებით?

- ჩვენ დავაფიქსირეთ ჩვენი პრინციპული უკმაყოფილება რეალური ვითარებით, რომელიც შეიქმნა აფხაზეთის სპეციალურ ჯგუფთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ახლა ვერ მოხერხდა კომისიის მოხსენების მოხსენა, რადგან ჯგუფის თავმჯდომარე შეედი გახლავთ შედეგში ამ დღეებში არჩევნები იყო და მან ფიზიკურად ვერ მოახერხა ჩამოსვლა; მაგრამ ჩვენ პრინციპულად დავსვი საკითხი, რომ ჯგუფის მოხსენება უნდა მოხდეს ბიურომ და, ამის შემდგომ, სესიამ.

სხვათა შორის, ჩვენს კრიტიკულ მიდგომებს გამოეხმაურა რამდენიმე დელეგაცია, მათ შორის - გერმანიის დელეგაცია. მათ განაცხადეს, რომ სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ ეუთო-ს ეფექტურობის ამაღლებაზე, იმდენად, რამდენადაც მთელი რიგი განაცხადებიც, რომლებიც თავისთავად საკმაოდ კარგია და მათი მიღება და დღის განმავლობაში მოხდება, არ სრულდება. გარდა ამისა, წარდგინეთ ინიციატივა თბილისში ეუთო-ს პარლამენტარ ქალთა შეხვედრის ორგანიზების, სადაც სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დადგურების საკითხებს განვიხილავდით. ამ წინადადებას საკმაოდ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. ეს კიდევ ერთი საშუალებაა, რომ ეუთო-ს წევრ ყველა ქვეყანას მივანდინოთ ჩვენი პრობლემები.

- პუტინის განცხადების შემდეგ გაეროცვლდა ინფორმაცია რუსეთის კავშირების სახელმწიფო მონაკვეთზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის გაფართოების შესახებ. რამდენად ჰქონდა შენარჩუნებული აქტიულობა ამ შეხვედრაზე პანკისის თემაზე?

- მე ვაკავთე მოხსენება პანკისის თაობაზე. ძალიან პოზიტიურად იქნა აღქმული, რომ საქართველო მზად არის, მიიღოს ეუთო-ს დამატებითი მისია, რომელიც განსაკუთრებული ადგილი რუსეთის წარმომადგენლებს დაეთმობა.

თავად ორგანიზაციის პრეზიდენტმა აღვითქვა, რომ შეეძლება ამაჟამად ეუთო-ს ხელთ არსებული მექანიზმები.

# მთავარი სიახლე რუსი ჟურნალისტებისთვის - პანკისზე მთავარი სიახლე რუსი ჟურნალისტებისთვის - პანკისზე მთავარი სიახლე რუსი ჟურნალისტებისთვის -

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე "როსისსკაია გაზეტას" რედაქციამ მრგვალ მაგიდასთან მიიწვია, სადაც ვაზეთის კორესპონდენტმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე, შევიარდნადისა და პუტინის მოახლოებულ შეხვედრაზე ინტერვიუ ჩამოართვა. მასალა დღევანდელ ნომერში დაიბეჭდა.

"24 საათთან" საუბარში ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, რომ რუსი ჟურნალისტებთან შეხვედრამ კეთილგანწყობილ ვითარებაში კი ჩაიარა, მაგრამ როგორი ინტერვიუ გამოვა, არ იცის. ჩვენი ელჩის თქმით, ამ შეხვედრის ინიციატივა გაზიარდა გამოიჩინა. "ასეთი ინტერვიუს გამოქვეყნება დღეს ორმაგად აქტუალურია, რადგანაც ის კომინიოვის მოახლოებულ სამიტს ემთხვევა და, უნდა ვიფიქროთ, რომ "როსისსკაია გაზეტა" პოზიტივის ძიებაშია და არა პირიქით", - ამბობს საქართველოს ელჩი.

ინტერვიუს ჩაწერისას, გაიხსენეს იგორ გიორგაძესთან ვრცელი საუბრის გამოქვეყნების ფაქტიც, რაზეც რედაქციამ აღნიშნა, რომ ისინი ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციასთან ერთად, ტრანსპარენტად განსხვავებულ აზრსაც უთმობენ.

ამ შეხვედრის დამოსკლმა საქართველოს ელჩმა იქვე შეკრებილი მოსოკოველი ჟურნალისტებისათვის



რუსეთთან ვითარების დაძაბვის სერიული ქართულ მხარეს არ ექს.

ბრიფინგი გამართა. სხვადასხვა რედაქციებისა და ტელეარხების წარმომადგენლებს აინტერესებდათ, შეეძლებოდა თუ არა პუტინი და შევიარდნაძე მოლაპარაკებას (მოსოკოველი ჟურნალისტების უდღესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტების ცალკე შეხვედრა არ შედეგება). ზურაბ აბაშიძემ

უპასუხა, რომ, თუ ეს შეხვედრა შედეგება, მხარეები მოახერხებენ ურთიერთობების ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებას. "შევიარდნაძე ასეთი განწყობით მდის კომინიოვი, რადგანაც რუსეთთან ვითარების დაძაბვის სერიული ქართულ მხარეს არ აქვს", - გა-

ნაცხადა ელჩმა.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, დარწმუნ თუ არა პანკისში ტერორისტები და ხომ არ ემზადობს საქართველო? ზურაბ აბაშიძემ მშვიდად უპასუხა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს დღეს ორი გამაღიზიანებელი ფაქტორი უშლის ხელს - პანკისი და აფხაზეთი. რუსეთმა სერიოზულად უნდა იფიქროს აგრესიული ტერორიზმის აღკვეთაზე, დაივიწყოს ორმაგი სტანდარტები და, თუ თავად ჩქინებით ტერორიზმს ებრძვის, არ დაუშვას აგრესიული სეპარატიზმი სხვა რეგიონში. ამდენად, საფრანგო რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დატერორირებაში გამოუყენებელი რესურსების ამოქმედება, კიდევ ერთი შეკითხვაა - მაინც როდის გადასცემენ რუსეთს პანკისში დაკავებულ ტერორისტებს? "პრინციპული გადაწყვეტა უახლოეს მომავალში შედეგება", - უპასუხა აბაშიძემ. მოსოკოველი ჟურნალისტების ვარაუდით, გადაცემას ქართული მხარე კომინიოვის სამიტს დაამთხვევს და პუტინი საკუთარ დაბადების დღეზე ამაზე კარგ საჩუქარს, ალბათ, ვერც მიიღებს.

ბრიფინგზე დაისვა შეკითხვები რუს სამხედრო მოსამსახურეთა კოლონის დაკავების ფაქტზე, აშშ-ში "გადაკარგულ" ასლან აბაშიძეზე, მაგრამ მთავარი სახელე იყო განცხადება, ე.წ. სამხრეთ ოსეთში კრიმინოგენული ვითარების განმეკუთვნების შემთხვევაში, პანკისური გამოცდილების გამოყენებაზე.

# ამ მარტო დარჩები ცხოვრობან?

მაია მოსიაშვილი

გერმანიის უმსხვილესი არასამთავრობო ფონდი "რობერტ ბოშის საზოგადოება" ყოველწლიურად აწყობს გერმანელი ჟურნალისტების საინფორმაციო-შემეცნებით ვიზიტებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში დღევანდელი "ურთიერთობების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის". თხუთმეტი ნამყვანი გერმანული გაზეთის 22 წარმომადგენელი 28 სექტემბერს ჩამოვიდა თბილისში. პოლონის რაიონში გერმანული დიასპორის მონახულების შემდეგ ქალაქი რუსთავიც დაათვალიერეს. მასპინძლობას მათ გუმბერნატორი ლევან მაშალაძე უწევდა, რომელიც შეეცადა, რუსთავის ნახვით დაზარალებული გერმანელი ჟურნალისტებისათვის გუნება გამოეკეთებინა, თუმცა, ამაოდ.

- ეს მრავალსართულიანი სახლები მინისქერას გაუქმდებს?

- ხალხი მარტო კორპუსებში ცხოვრობს და საკუთარი სახლები არა აქვთ?

- ამ ქალაქში მარტო ღარიბები რუს სამხედრო მოსამსახურეთა კოლონის დაკავების ფაქტზე, აშშ-ში "გადაკარგულ" ასლან აბაშიძეზე, მაგრამ მთავარი სახელე იყო განცხადება, ე.წ. სამხრეთ ოსეთში კრიმინოგენული ვითარების განმეკუთვნების შემთხვევაში, პანკისური გამოცდილების გამოყენებაზე.

ასეთ კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა მაშალაძეს. მიღებულმა პასუხებმა გერმანელი მაინცდამაინც ოპტიმისტურად ვერ განაწყობა.

რადგან ვერაფრით დაიჯერეს, რომ სახლები 8-10 ბალს უძლებდნენ და რუსთავი ტარობთა ქალაქი არ არის.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინფორმაციამ დანაშაულის აღმოჩენის შესახებ.

- მე არ ვიცოდი, რომ საქართველო ევროპის აკვანი ყოფილა და პირველი ევროპელის ჩონჩხიც აქ არის ნაპოვნი. არც ის ვიცოდა, რომ ასეთი ნაპოვნი უნდა იქნებოდა ქალაქის მქონეში ყოფილბარო. ახლა თქვენს ქვეყანაში გარდაქმნის პერიოდი და ვხედავ, რომ სართულებს ყოჩაღად უშკლავდებით, - განაცხადა "ბერლინერ ცაიტუნგსი" ჟურნალისტმა.

ერთადერთი, რამაც რუსთავში სტუმრობისას გერმანელებს სახეზე ეკაყოფილებს იმდენი მოჰგვარა, "ყაზბეგის" ლული აღმოჩნდა. ისინი ლამაზი მიერსკობით ათვალაფრებდნენ გერმანული წარმოების ტექნიკას, რომლითაც ლუდის ქარხანა აღჭურვილი და გაკვირვებით კითხოლობდნენ, კი მაგრამ, რამდენად აქვს წარმოებას შემოსავალი, ასეთ ტექნიკას რომ ყიდულობენ. შემდეგ ბოუჯეტში შენაძანებით დაინტერესდნენ და როცა საკმაოდ სოლიდური თანხა დაუსახლეს, რეაქცია ასეთი იყო - თუ ასეა, რატომ არის ქალაქი ასეთი მდგომარეობაში?

გერმანულმა ჟურნალისტებმა ქალაქი მასში დატოვეს, როცა "ბედნიერი ღარიბები" ამერიკელი კეთილი მოსახვედნი ნაწუქარი საკალათბურთო მოსახვედნი სახეობი გახსნის ცერემონიას იწყებდნენ.



### რუსეთმა, შესაძლოა, ამერიკის ანტირაყაულ რეჟიმს დაუჭიროს

ლევან დირსიანაშვილი

გუშინ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, რუსეთის ხელი-სუფულაბა ერაყის საკითხთან დაკავშირებით პოზიცია შეიცვალა. კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა განაცხადა, რომ მოსკოვი დათანხმდება გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ ერაყის წინააღმდეგ ახალი რეზოლუციის მიღებას იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი რეზოლუცია საერთაშორისო სამხედრო ინსპექტორების ნაყოფიერ მუშაობას შეუწყობს ხელს. აქამდე რუსეთის ხელისუფლება ასეთი რეზოლუციის მიღებას კატეგორიულად უწინააღმდეგებოდა.

იგორ ივანოვის ეს განცხადება შეიძლება შეფასდეს, როგორც ფრთხილი ნაბიჯი, გადადგმული შეერთებული შტატების ინტერესების სასარგებლოდ, რომელიც ბაღდადის რეჟიმის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის განხორციელების მომხრეა. აღსანიშნავია, რომ ბუშის ადმინისტრაცია ერაყის საკითხთან დაკავშირებით დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მარტო საერთაშორისო არენაზე, არამედ გამინტრონიც, კერძოდ კი - კონგრესში. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, გუშინ პრეზიდენტმა ბუშმა შეძლო კონგრესში რესპუბლიკელებისა და დემოკრატიების ლიდერებთან შეთანხმების მიღწევა და მათგან ერაყის წინააღმდეგ ომში მხარდაჭერის პირობა მიიღო. გადარჩება, რომ კონგრესი მოიწონებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ და გაერო-ში წარსადგენ რეზოლუციის პროექტს, რომელიც აშშ-ს ბაღდადის წინააღმდეგ ძალის გამოყენების უფლებას აძლევს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ერაყი გაერო-ს სანქციებს არ შეასრულებს. კონგრესის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ამის შემდეგ სადამ პუსეის მხრიდან ერთი გზა რჩება - მან გაერო-ს რეზოლუციები უნდა შეასრულოს.

ქვეყნის შიგნით მიღწეული წარმატებისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ზემოთაღნიშნული განცხადების მიუხედავად, ბუშის ანტირაყაულ ინიციატივას საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობები კვლავ ეწინააღმდეგებიან. პარიზში გამართული ოფიციალური მიღების შემდეგ გერმანიის კანცლერმა გერარდ შროდერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადეს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოში აშშ-ს მიერ წარდგენილი რეზოლუციის, რომელიც ერაყის წინააღმდეგ ავტომატურად იძლევა საბრძოლო ოპერაციების დაწყების უფლებას, ისინი მხარს არ დაუჭერენ. ამასთანავე, გაერო-ს უშიშროების საბჭოში საფრანგეთი რეზოლუციის საკუთარი პროექტის შეტანას აპირებს,



შროდერი და შირაკი ამერიკის პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ.

თის და გერმანიის მთავრობები კვლავ ეწინააღმდეგებიან. პარიზში გამართული ოფიციალური მიღების შემდეგ გერმანიის კანცლერმა გერარდ შროდერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადეს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოში აშშ-ს მიერ წარდგენილი რეზოლუციის, რომელიც ერაყის წინააღმდეგ ავტომატურად იძლევა საბრძოლო ოპერაციების დაწყების უფლებას, ისინი მხარს არ დაუჭერენ. ამასთანავე, გაერო-ს უშიშროების საბჭოში საფრანგეთი რეზოლუციის საკუთარი პროექტის შეტანას აპირებს,

რომლის მიხედვითაც გაერო-ს უშიშროების საბჭოში ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების შესახებ ნებისმიერი კენჭისყრა უნდა გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე გაერო-ს სამხედრო ინსპექტორები ბაღდადში მუშაობას არ დაასრულებენ.

ამასთანავე, ცნობილი გახდა რუსეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების ერთობლივი განცხადება, სადაც ორივე ქვეყანა ერაყის გარშემო შექმნილი პრობლემის პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრას უჭერს მხარს: „პრიორიტეტად აღიარებული უნდა იყოს ინსპექტირება და არა თავდასხმა“, - ნათქვამია განცხადებაში. პეკინი და მოსკოვი საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებენ, ხელი შეუწყონ გაერო-ს ინსპექტორების ერაყში, რაც შეიძლება, სწრაფად დაბრუნებას და ინსპექტირების განახლებას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლება ორმაგ თამაშს ეწევა - ერთის მხრივ, ორაზროვნად უჭერს მხარს შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტს, ხოლო, მეორეს მხრივ, ჩინეთთან ერთად, ფაქტობრივად, ვაშინგტონის ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჩინეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, შესაძლოა, მხარი დაუჭიროს საფრანგეთის მიერ შემუშავებული რეზოლუციის ვარიანტს. ამით უშიშროების საბჭოში ევტოს უფლების მქონე ქვეყანათა ორი დაჯგუფება ჩამოყალიბდება: პირველი - აშშ და დღეიერი ბრიტანეთი და მეორე - საფრანგეთი და ჩინეთი. ვის მხარეს დაიჭერს რუსეთი, ჯერ კიდევ უცნობია.

### „ნატო-ს კიდობანი“ მსოფლიოს გადასარჩენად

პირველი გავრცელება

რობერტსონის მიერ პროგნოზი არასტაბილურობის ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელების შეუქმნელად - მიგრაციის, თავშესაფრის მაძიებელთა მომრავლების, ადამიანებით ვაჭრობის, ძალადობის ზრდისა და ნარკოტიკების მოძალედების საფუძველი.

რობერტსონი ტერორიზმის ესკალაციასაც ელის - მისი თქმით, 11 სექტემბრის შემდეგ ტერორისტების მოქმედების წესი შეიცვალა: ისინი პოლიტიკურ მიზნებს კი აღარ მისდევენ, არამედ ფანატიკური ექსტრემიზმითა და მკვლელობის წყურვილით არიან შეპყრობილი.

